ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 9 (11315) | კვირა, 11 იანვარი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

## კ ა ნ ო ნ ი
## საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მომზადებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილი შესწორებებით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში აღნიშნული და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1959 წ. 10 იანვარი.

## კ ა ნ ო ნ ი
## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით: შემოსავლის ნაწილში 5.776.340 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 5.776.340 ათასი მანეთის ოდენობით, და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1960 წლის 1 იანვრისათვის 155.000 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 2.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სულ 5.031.061 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად—მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის. საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის საერთო თანხით —2.533.904 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის - საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების. საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების. თეატრების. პრესის, რადიომაუწყებლობის, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 2.908.134 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 5.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვაზე 182.838 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1959 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი—5.164.180 ათასი მანეთი, გასავალი 3.555.503 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1.608.677 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1960 წლის 1 იანვრისათვის 90.170 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების. ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1959 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1960 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 217.635 | 159.144 | — | 217.635 | 6.529 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 164.589 | 120.225 | — | 164.589 | 4.938 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 84.681 | 39.580 | 38.360 | 84.681 | 2.540 |
| 4. ქალაქი თბილისი | 652.896 | 353.835 | — | 652.896 | 13.272 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 82.098 | 37.283 | — | 82.098 | 1.642 |
| 6. ქალაქი ფოთი | 27.831 | 19.672 | — | 27.831 | 835 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 28.556 | 24.029 | — | 28.556 | 1.315 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 34.723 | 25.478 | — | 34.723 | 694 |
| 9. ქალაქი გორი | 19.966 | 7.511 | — | 19.966 | 399 |
| 10. აბაშის რაიონი | 12.619 | 10.615 | — | 12.619 | 551 |
| 11. ადიგენის რაიონი | 9.911 | 4.210 | 4.915 | 9.911 | 399 |
| 12. ამბროლაურის რაიონი | 14.113 | 7.322 | 5.696 | 14.113 | 598 |
| 13. ასპინძის რაიონი | 9.364 | 1.251 | 7.770 | 9.364 | 331 |
| 14. ახალქალაქის რაიონი | 27.595 | 20.048 | 5.217 | 27.595 | 909 |
| 15. ახალციხის რაიონი | 22.062 | 16.885 | — | 22.062 | 608 |
| 16. ახმეტის რაიონი | 14.286 | 8.739 | 4.504 | 14.286 | 533 |
| 17. ბოგდანოვკის რაიონი | 11.626 | 5.330 | 5.506 | 11.626 | 485 |
| 18. ბოლნისის რაიონი | 15.613 | 10.091 | 3.691 | 15.613 | 535 |
| 19. ბორჯომის რაიონი | 18.014 | 13.524 | — | 18.014 | 490 |
| 20. გეგეჭკორის რაიონი | 25.891 | 11.645 | 12.794 | 25.891 | 981 |
| 21. გორის რაიონი | 23.017 | 20.475 | — | 23.017 | 1.006 |
| 22. გურჯაანის რაიონი | 22.822 | 19.447 | — | 22.822 | 718 |
| 23. დმანისის რაიონი | 13.401 | 6.087 | 6.317 | 13.401 | 643 |
| 24. დუშეთის რაიონი | 18.970 | 4.239 | 13.023 | 18.970 | 706 |
| 25. ვანის რაიონი | 14.455 | 6.187 | 6.898 | 14.455 | 638 |
| 26. ზესტაფონის რაიონი | 23.288 | 19.843 | — | 23.288 | 794 |
| 27. ზუგდიდის რაიონი | 38.431 | 33.344 | — | 38.431 | 1.216 |
| 28. თეთრი წყაროს რაიონი | 16.852 | 5.020 | 9.942 | 16.852 | 705 |
| 29. თელავის რაიონი | 24.651 | 20.055 | — | 24.651 | 725 |
| 30. თერჯოლის რაიონი | 10.498 | 4.651 | 5.043 | 10.498 | 456 |
| 31. თიანეთის რაიონი | 10.633 | 2.945 | 7.220 | 10.633 | 355 |
| 32. კასპის რაიონი | 20.260 | 16.357 | — | 20.260 | 682 |
| 33. კაჭრეთის რაიონი | 14.132 | 6.408 | 7.189 | 14.132 | 441 |
| 34. ლაგოდეხის რაიონი | 17.180 | 14.678 | — | 17.180 | 686 |
| 35. ლანჩხუთის რაიონი | 16.012 | 12.383 | — | 16.012 | 604 |
| 36. ლენტეხის რაიონი | 10.211 | 1.035 | 8.945 | 10.211 | 291 |
| 37. მაიაკოვსკის რაიონი | 11.676 | 4.995 | 5.848 | 11.676 | 496 |
| 38. მარნეულის რაიონი | 21.775 | 18.762 | — | 21.775 | 786 |
| 39. მახარაძის რაიონი | 31.603 | 24.568 | — | 31.603 | 1.039 |
| 40. მესტიის რაიონი | 11.651 | 2.053 | 9.236 | 11.651 | 395 |
| 41. მცხეთის რაიონი | 12.734 | 8.687 | — | 12.734 | 490 |
| 42. ონის რაიონი | 13.294 | 4.053 | 8.027 | 13.294 | 463 |
| 43. ორჯონიკიძის რაიონი | 18.027 | 5.227 | 11.532 | 18.027 | 628 |
| 44. საგარეჯოს რაიონი | 13.302 | 11.397 | — | 13.302 | 543 |
| 45. სამტრედიის რაიონი | 21.765 | 13.888 | — | 21.765 | 736 |
| 46. საჩხერის რაიონი | 12.614 | 3.120 | 8.465 | 12.614 | 514 |
| 47. სიღნაღის რაიონი | 18.051 | 14.544 | — | 18.051 | 645 |
| 48. ტყიბულის რაიონი | 19.560 | 16.149 | — | 19.560 | 573 |
| 49. ქარელის რაიონი | 16.440 | 14.721 | — | 16.440 | 660 |
| 50. ქუთაისის რაიონი | 12.756 | 9.444 | — | 12.756 | 592 |
| 51. ყაზბეგის რაიონი | 9.392 | 1.583 | 7.539 | 9.392 | 262 |
| 52. ყვარლის რაიონი | 13.844 | 8.889 | 3.665 | 13.844 | 520 |
| 53. ჩოხატაურის რაიონი | 19.779 | 7.165 | 11.311 | 19.779 | 652 |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი | 12.375 | 8.112 | 3.482 | 12.375 | 521 |
| 55. ცაგერის რაიონი | 12.567 | 7.235 | 4.120 | 12.567 | 484 |
| 56. ცხაკაიას რაიონი | 22.001 | 18.358 | — | 22.001 | 715 |
| 57. წალენჯიხის რაიონი | 14.422 | 11.168 | 2.187 | 14.422 | 542 |
| 58. წალკის რაიონი | 16.919 | 9.030 | 6.422 | 16.919 | 751 |
| 59. წითელწყაროს რაიონი | 12.618 | 10.196 | — | 12.618 | 390 |
| 60. წულუკიძის რაიონი | 18.148 | 6.155 | 9.935 | 18.148 | 556 |
| 61. წყალტუბოს რაიონი | 12.481 | 7.388 | — | 12.481 | 429 |
| 62. ხაშურის რაიონი | 20.499 | 16.590 | — | 20.499 | 688 |
| 63. ხობის რაიონი | 11.662 | 5.412 | 5.443 | 11.662 | 510 |
| ს უ ლ | 2.220.837 | 1.358.435 | 250.242 | 2.220.837 | 64.830 |

დამტკიცდეს 1959 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;

ბ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100 პროცენტი;

გ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

| | ანარიცხების პროცენტები: მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან | სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან | სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 45 | 100 | 100 | 85 | 12.2 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 45 | 100 | 100 | 95 | 15.6 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 4. ქალაქი თბილისი | 43 | 100 | 75 | 100 | 7.7 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 20 | — | — | 100 | 7.5 |
| 6. ქალაქი ფოთი | 40 | — | 100 | 100 | 28.8 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 20 | 100 | 100 | 100 | 58.6 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 40 | — | — | 100 | 50.1 |
| 9. ქალაქი გ ო რ ი | 20 | — | — | 50 | 6.9 |
| 10. აბაშის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 90.9 |
| 11. ადიგენის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 12. ამბროლაურის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 13. ასპინძის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 14. ახალქალაქის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 15. ახალციხის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 26.9 |
| 16. ახმეტის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 17. ბოგდანოვკის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 18. ბოლნისის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 19. ბორჯომის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 30.1 |
| 20. გეგეჭკორის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 21. გ ო რ ი ს რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 36.8 |
| 22. გურჯაანის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 75.8 |
| 23. დმანისის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 24. დუშეთის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 25. ვანის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 26. ზესტაფონის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 16.5 |
| 27. ზუგდიდის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 13.3 |
| 28. თეთრი წყაროს რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 29. თელავის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 24.6 |
| 30. თერჯოლის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 31. თიანეთის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 32. კასპის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 47.7 |
| 33. კაჭრეთის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 34. ლაგოდეხის რაიონი | 50 | 50 | 100 | 100 | 25.4 |
| 35. ლანჩხუთის რაიონი | 50 | 80 | 100 | 100 | 8.5 |
| 36. ლენტეხის რაიონი | 100 | — | 100 | 100 | 100.0 |
| 37. მაიაკოვსკის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 38. მარნეულის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 22.0 |
| 39. მახარაძის რაიონი | 20 | 50 | 50 | 100 | 10.5 |
| 40. მესტიის რაიონი | 100 | — | 100 | 100 | — |
| 41. მცხეთის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 51.2 |
| 42. ონის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 43. ორჯონიკიძის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 44. საგარეჯოს რაიონი | 80 | 100 | 100 | 100 | 97.0 |
| 45. სამტრედიის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 10.7 |
| 46. საჩხერის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 47. სიღნაღის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 25.9 |
| 48. ტყიბულის რაიონი | 75 | 100 | 100 | 100 | 67.5 |
| 49. ქარელის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 81.0 |
| 50. ქუთაისის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 89.5 |
| 51. ყაზბეგის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 52. ყვარლის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 53. ჩოხატაურის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 55. ცაგერის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 56. ცხაკაიას რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 33.4 |
| 57. წალენჯიხის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 58. წალკის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 59. წითელწყაროს რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 88.4 |
| 60. წულუკიძის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 61. წყალტუბოს რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 44.0 |
| 62. ხაშურის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 67.4 |
| 63. ხობის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი**

ქ. თბილისი, 1959 წ. 10 იანვარი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია. სესიის მოწვევა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში.

10 იანვარს გაიმართა უმაღლესი საბჭოს სესიის საბოლოო სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ვ. დ. კუპრაძე**, მისი მოადგილეები **ლ. კ. ნაზაძე, ვ. დ. კოზაევი.**

გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატმა **ვ. ხ. კვარაცხელიამ** (წალენჯიხის საარჩევნო ოლქი, წალენჯიხის რაიონი), დეპუტატმა **ზ. მ. ტრდატიანმა** (ახალციხის ჯაფარიძის საარჩევნო ოლქი, ახალციხის რაიონი), საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ **შ. ე. პაატაშვილმა**, დეპუტატმა **ა. რ. აგაევმა** (ამამლოს საარჩევნო ოლქი, დმანისის რაიონი).

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო დამთავრდა.

საბოლოო სიტყვას ამბობს ფინანსთა მინისტრი დეპუტატი **ბ. ა. ჩხეიძე.**

სესიამ ერთსულოვნად მიიღო კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. მიღებულია აგრეთვე დადგენილება საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სესია შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებას.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ზ. ა. გელდიაშვილმა.**

ამით საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია დახურულად ცხადდება.

(საქინფორმი).

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი
### საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავალში 5.000.327 ათასი მანეთის, გასავალში 4.958.282 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 42.045 ათასი მანეთის გადამეტებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1959 წ. 10 იანვარი.

## კ ა ნ ო ნ ი
### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ვაჭრობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ ვაჭრობის რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“.

2. ამ კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 და 56 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 55. საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:
თავდაცვისა;
კავშირგაბმულობისა;
კულტურისა;
საგარეო საქმეთა;
სოფლის მეურნეობისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა“.

„მუხლი 56. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:
ადგილობრივი მეურნეობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
იუსტიციისა;
მშენებლობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
წყალთა მეურნეობისა“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1959 წ. 10 იანვარი.

### მის აღმატებულებას
## ბატონ მანუელ ურუტიას,
### კუბის რესპუბლიკის დროებითს პრეზიდენტს

ჰავანა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა, ხელმძღვანელობს რა მშვიდობიანი თანაარსებობის საერთოდ ცნობილი პრინციპებით და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებით, ამით აცხადებს, რომ იგი ოფიციალურად ცნობს კუბის რესპუბლიკის დროებითს მთავრობას.

საბჭოთა კავშირის ხალხები მხურვალედ უსურვებენ კუბელ ხალხს წარმატებებსა და აყვავებას.

**კ. ვოროშილოვი,**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

მოსკოვი, კრემლი, 1959 წლის 10 იანვარი.

### საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა გაიხსნება ხვალ, 12 იანვარს დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია წარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შენობაში (შიო ჩიტაძის ქუჩა, № 2).

ტელეფონები: 3-62-20, 3-90-24, 3-60-24, 5-02-85.

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77, 86, 87, 88 და 148 მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ამოღებულ იქნას საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77, 86, 87 და 88 მუხლებიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების კონკრეტული საარჩევნო ნორმები და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) აღნიშნული მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 77.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ირჩევენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოქალაქენი ორი წლის ვადით იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ".

**„მუხლი 86.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები აირჩევიან იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ".

**„მუხლი 87.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები და დიდი ქალაქების რაიონული საბჭოები აირჩევიან იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ".

**„მუხლი 88.** მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები აირჩევიან იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ".

2. „სასამართლოს წესით საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევის გაუქმების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 25 დეკემბრის კანონის შესაბამისად შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 148 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 148.** დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ-ის ყველა მოქალაქეს, რომელსაც კი 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში, გარდა იმ პირებისა, რომელნიც კანონით დადგენილი წესით ცნობილნი არიან შეშლილებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა.

ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 10 იანვარი.

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობიდან ამხ. გ. ა. ალავიძის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 8 იანვრის ბრძანებულება ამხ. გიორგი არტემის-ძე ალავიძის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 10 იანვარი.

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად ამხ. შ. ი. ჭანუყვაძის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 8 იანვრის ბრძანებულება ამხ. შოთა ილარიონის-ძე ჭანუყვაძის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წ. 10 იანვარი.

# გერმანიისათვის საზავო ხელშეკრულების პროექტი

საბჭოთა მთავრობამ მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩების მეშვეობით ამ სახელმწიფოთა და სხვა იმ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომელნიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ ომში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს 10 იანვარს წარუდგინა გერმანიისათვის საზავო ხელშეკრულების პროექტი.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში წამოყენებულია წინადადება, რომ ორი თვის ვადაში ვარშავასა ან პრაღაში მოწვეულ იქნას საზავო კონფერენცია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის განსახილველად, ხელშეკრულების შეთანხმებული ტექსტის შესამუშავებლად და ხელმოსაწერად.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება დიდ დადებით როლს შეასრულებს არა მარტო ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფაში, არამედ გერმანელი ხალხის საერთო ეროვნული ამოცანის — გერმანიის გაერთიანების გადაწყვეტაშიც.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტაში გაცემულია აგრეთვე პასუხი აღნიშნულ მთავრობათა ნოტებზე ბერლინის საკითხის შესახებ და კვლავ გამოთქმულია მისწრაფება, რომ ბერლინის საკითხი მოწესრიგდეს დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების გზით. (საკდესი).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

# კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

### დეპუტატ ა. ე. მელაძის სიტყვა

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია, — ამბობს დეპუტატი, — მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში. ქართველი ხალხი ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად მხურვალედ იწონებს პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

ახალი წარმატებებით ეგებებიან XXI ყრილობას საქართველოს დედაქალაქის მშრომელები. სამრეწველო წარმოების ზრდამ, საქონელბრუნვის გაფართოებამ უზრუნველყო ქალაქ თბილისის 1958 წლის ბიუჯეტის გადამეტებით შესრულება შემოსავლის ნაწილში. ამის შედეგად მიღებული დამატებითი სახსრები დაიხარჯა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. შარშან კაპიტალდაბანდებამ ყველა დარგში 83,9 მილიონი მანეთით გადააჭარბა 1957 წლის კაპიტალდაბანდებას მარტო საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯა 55 მილიონი მანეთით მეტი.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს ახალი ბიუჯეტის პროექტზე. 1959 წლის ბიუჯეტი გათვალისწინებულია 652.896 ათასი მანეთის ოდენობით, რაც დაახლოებით 143 მილიონით აღემატება გასული წლის ბიუჯეტს. მნიშვნელოვნად დიდდება ასიგნობანი კაპიტალური მშენებლობისათვის. მიმდინარე წელს თბილისში კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდება საბინაო მშენებლობა. იგი იწარმოებს კომპლექსურად, რაც უზრუნველყოფს ტექნიკის, მუშახელის უფრო ეფექტიან გამოყენებას. დიდი ყურადღება ეთმობა ქალაქის კომუნალური მეურნეობის შემდგომ განვითარებას. დაიწყება კარლ მარქსის სახელობის ხიდის რეკონსტრუქცია, აიგება ღვარსაშვებები, გაგრძელდება მუშაობა წყალსადენის ქსელის გასაფართოებლად.

დეპუტატი აყენებს საკითხს ქალაქის გაზიფიკაციისათვის ასიგნებათა გადიდების შესახებ. მას საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე სპეციალური სახსრები გამოიყოს იმ ტერიტორიების გასამწვანებლად და კეთილმოსაწყობად, სადაც საბინაო მშენებლობა მიმდინარეობს.

სესიის განსახილველად შემოტანილი საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა, — ამბობს დასასრულ დეპუტატი, — შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების ინტერესებს. შემომაქვს წინადადება დამტკიცდეს საქართველოს სსრ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა.

### დეპუტატ ლ. კ. ნაზაძის სიტყვა

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VII სესია, — ამბობს დეპუტატი ნაზაძე, — მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც განიხილა უკანასკნელ ხუთ წელიწადში სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის შესანიშნავი შედეგები და დასახა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები.

აფხაზეთის მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი. რესპუბლიკის მრეწველობამ გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, 1957 წელთან შედარებით გამოშვებულია რამდენიმე ათეული მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია. სახელმწიფოს ჩაბარდა 21.665 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმის 108,5 პროცენტს შეადგენს. მეთამბაქოეებმა შეტეხეს და ანემსეს 106 მილიონი ზონარმეტრი თამბაქოს ფოთოლი — გეგმით გათვალისწინებულზე 15 პროცენტით მეტი. გადაჭარბებით შესრულებულია აბრეშუმის პარკის, ყურძნის, ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმები. წინასწარი გამოანგარიშებით, კოლმეურნეობებმა გასულ წელს მიიღეს 400 მილიონი მანეთით მეტი შემოსავალი, გაცილებით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

დეპუტატი ნაზაძე ეხება ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის აფხაზეთის ასსრ მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების, კერძოდ ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის, სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში. სოფლის მეურნეობის კვლავ ჩამორჩენილი დარგია მეცხოველეობა. ორატორი სიტყვას აძლევს დეპუტატებს, რომ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მშრომელნი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი.

იწონებს რა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებს, რომლებიც წარდგენილია სესიის განსახილველად, დეპუტატი ნაზაძე ამასთან თხოულობს ასიგნობათა გადიდებას მთელ რიგ კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობისათვის, ქალაქ გუდაუთასთან ნაპირის გამაგრების სამუშაოთა განსახორციელებლად, სოხუმის მიდამოებში დაჭაობებული მიწების ამოსაშრობად.

### აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. დ. თხილაიშვილის სიტყვა

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის შემდეგ, — ამბობს ამხ. თხილაიშვილი, — აჭარის ასსრ მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, მიაღწიეს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. დიდი სიხარულით და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ისინი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას, რომელიც ჩამოყალიბებულია პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში.

დიდი წარმატებები მოუტანა აჭარის მშრომელებს გასულმა წელმა. რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა, გამოუშვა რა ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, გემთსაშენებლო, მანქანათსაშენებლო, ტყავის ქარხნების, ციტრუსკომბინატის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული აგრეთვე სოფლის მეურნეობაში. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 23.531 ტონა ჩაის ფოთოლი — 4.682 ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს. დამზადებულია 400 მილიონ ცალზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი გეგმით გათვალისწინებული 281 მილიონის ნაცვლად. გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე თამბაქოს, ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დავალებები.

ახალი ბიუჯეტით ასიგნობანი აჭარის ასს რესპუბლიკისათვის შარშანდელთან შედარებით გადიდებულია 6 მილიონი მანეთით. წელს აჭარის ასსრ მრეწველობა ბევრად გაადიდებს პროდუქციის წარმოებას. მწყობრში ჩადგება ელექტროტექნიკური მრეწველობის სამი ახალი ქარხანა. გადიდდება ჩაის, ციტრუსოვანთა, ყურძნის, თამბაქოს, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება.

### დეპუტატ დ. ვ. გელაშვილის სიტყვა

დეპუტატი ლაპარაკობს წარმატებებზე, რომლებითაც სამგორის რაიონის მშრომელნი ხვდებიან საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას. კოლმეურნეობებმა გაადიდეს სიმინდის მოსავლიანობა. 5 წლის მანძილზე ერთიორად და მეტად გადიდდა ძროხის წველადობა. გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1957 წელთან შედარებით დაახლოებით 9 მილიონი მანეთით გადიდდა.

მიუხედავად ამისა, — ამბობს ორატორი, — ჯერ კიდევ დაბალია მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების — ბოსტნეულის, მზესუმზირას, კარტოფილისა და სხვათა მოსავლიანობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება რაიონის მშრომელებისაგან მოითხოვს დაძაბულ შრომას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის, თბილისისა და რუსთავის მშრომელთა უზრუნველსაყოფად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. ამჟამად რაიონში დიდი მუშაობა წარმოებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შემდეგ დეპუტატი აღნიშნავს, რომ საჭიროა ახალ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა სამგორის რაიონში. მას საჭიროდ მიაჩნია შეიქმნას მდინარე ალგეთის ბაზაზე სარწყავი არხების ქსელი, დაჩქარდეს სიონის წყალსაცავის მშენებლობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონისათვის.

დასასრულ ორატორი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რაიონის მშრომელნი, პარტიისა და მთავრობის ბრძნული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

### სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ს. გ. თიბილოვის სიტყვა

— ჩვენი ოლქის მშრომელებმა, — ამბობს ამხ. თიბილოვი, — განვლილ 1958 წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებაში. საკმარისია ითქვას, რომ პირველად მრავალი წლის მანძილზე გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეული კულტურების, ხილისა და ყურძნის მოსავლიანობის გეგმები. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა 760 ცენტნერი ხორცი, 3.070 ცენტნერი რძე, 38 ათასი ცენტნერი ხილი, 1.080 ცენტნერი ყურძენი და ბევრი სხვა პროდუქტი. ბევრად გადიდდა კოლმეურნეობათა შემოსავალი. ახლა მათი უმრავლესობა შრომადღეზე აძლევს 6-7 კილოგრამ მარცვალს.

ოლქის მრეწველობამ მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

ორატორი აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობები წლითიწლობით ზრდიან თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის წარმოებას. შვიდი წლის განმავლობაში ხილის დამზადება კიდევ უფრო გადიდდება. ამასთან დაკავშირებით იგი აყენებს საკითხს ქალაქ სტალინირში საკონსერვო ქარხნის მშენებლობის შესახებ, ითხოვს აგრეთვე გადიდდეს ასიგნობა სამხრეთ ოსეთის კურორტების კეთილმოწყობისა და მშენებლობისათვის ადგილობრივი სამკურნალო მინერალური წყაროების ბაზაზე.

— 1959 წლის ბიუჯეტის პროექტი, — ამბობს დასასრულ ამხ. თიბილოვი, — შეესაბამება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესებს. მნიშვნელოვნად დიდდება სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სოფლის მეურნეობის განვითარების ხარჯები. მე ვუერთდები წინადადებას დამტკიცდეს რესპუბლიკის მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

### დეპუტატ ს. ბ. დოლიძის სიტყვა

პარტიის მომავალი XXI ყრილობის აღსანიშნავად აქტიურ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან, ამბობს ორატორი, ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკები. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის, რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობისა და გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრების შემოქმედებითმა კოლექტივებმა ამ ბოლო დროს მთელი რიგი ახალი დადგმები განახორციელეს.

ორატორი სესიის მონაწილეთა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ქართული კინემატოგრაფიის განვითარების ცალკეულ საკითხებს. კინოსტუდია „ქართულ ფილმს", ამბობს იგი, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის კინოსტუდიებს შორის. ეს იმ ყოველდღიური ზრუნვის შედეგია, რომელსაც ქართული კინემატოგრაფიისათვის იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ამას თვალნათლივ მოწმობს გადაწყვეტილება დიღომში ახალი კინოფაბრიკის მშენებლობის შესახებ, რომელიც 1963 წელს დამთავრდება. იგი ყოველწლიურად გამოუშვებს 15-20 მხატვრულ ფილმს. გადაწყდა აგრეთვე თბილისში აიგოს საკონცერტო დარბაზი. ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების შესაყარზე ქალაქის საბჭომ გამოჰყო ამისათვის ნაკვეთი. მაგრამ არის აზრი, რომ ამ ადგილას აშენდეს უნივერმაღი. ორატორი ითხოვს არ შეიცვალოს გადაწყვეტილება საკონცერტო დარბაზის მშენებლობის შესახებ. იგი აყენებს აგრეთვე საკითხს კინოსტუდიის სასცენარო ფონდის გადიდების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს კინოფილმების გამოშვების გადიდებას.

დეპუტატი აღნიშნავს, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმი" ჯერ კიდევ ცოტას უშვებს კინოსურათებს, რომლებიც თანამედროვეობას ასახავენ. ქართული კინემატოგრაფიის მუშაკები, ამბობს იგი დასასრულ, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ახალ კინონაწარმოებებში ასახონ ჩვენი ეპოქის სიდიადე, უჩვენონ საბჭოთა ადამიანების — კომუნისტური საზოგადოების მშენებლების შემოქმედებითი შრომა.

### დეპუტატ ს. ნ. ფერაძის სიტყვა

საბჭოთა ადამიანებმა, ამბობს ორატორი, პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები მიიღეს როგორც ბრძნული პროგრამა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობისა და ყოველ ღონეს ხმარობენ მისი წარმატებით განხორციელებისათვის.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ზესტაფონის რაიონის მშრომელებსაც. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა გასული წლის გეგმა შეასრულა ჯერ კიდევ 1 დეკემბრისათვის და სამშობლოს მისცა რამდენიმე მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. კიდევ მეტი ენთუზიაზმით შრომობენ ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაკები ახალი წლის დამდეგიდან.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. მათ გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის, სიმინდის, აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი შეესაბამება ამოცანებს, რომლებიც დასახულია შვიდწლედის პირველი წლისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში. პროექტით გათვალისწინებულია ასიგნობანი ზესტაფონის რაიონისთვისაც. ფეროშენადნობთა ქარხანამ წელს უნდა გაადიდოს პროდუქციის გამოშვება. ამისათვის საჭიროა მისი შეუფერხებელი მომარაგება ელექტროენერგიით. დეპუტატი ამბობს, რომ საჭიროა ელექტრომეურნეობისა და წყალსადენი ქსელის სრული რეკონსტრუქცია რაიონულ ცენტრში, ახალი საავადმყოფოს მშენებლობა.

### დეპუტატ ვ. თ. სუხიშვილის სიტყვა

დეპუტატი სუხიშვილი ლაპარაკობს ქალაქ თ ბ ი ლ ი ს ი ს სტალინის რაიონის მშრომელთა შორის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალ აღმავლობაზე, რაც გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დიდებულმა პროგრამამ, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში.

მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივების შექმნისათვის მოძრაობამ. ამ პატრიოტულ თაოსნობას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, კამვოლ-მაუდისა და სარძეო კომბინატების, საინსტრუმენტო ქარხნისა და რაიონის სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. სკკპ მომავალი XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის შეჯიბრებაში სულ უფრო მეტი მუშა ებმება.

შემდეგ დეპუტატი სუხიშვილი ლაპარაკობს საქართველოს დედაქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის ზრდაზე. ახლა ქალაქში დადის 260 ტრამვაის ვაგონი, 92 ტროლეიბუსი, 180 ავტობუსი და 400-ზე მეტი მსუბუქი ტაქსი. მათ ყოველდღე გადაჰყავთ დაახლოებით ნახევარი მილიონი მგზავრი. მგზავრთა გადაყვანის წლიური დავალება გასულ წელს გადაჭარბებით შესრულდა.

შვიდწლედში ქალაქის ტრანსპორტის ზრდის კიდევ უფრო დიდი პერსპექტივებია დასახული. ტროლეიბუსების რაოდენობა გადიდდება 2,5-ჯერ, ავტობუსებისა — 1,8-ჯერ, მსუბუქი ტაქსისა — 1,5-ჯერ, მიღებულ იქნება აგრეთვე ტრამვაის ახალი ვაგონები. გაჰყავთ ტრამვაისა და ტროლეიბუსის ახალი ხაზები, მიმდინარე წლიდანვე დაიწყება წყლის ტრამვაის მიმოსვლა.

ორატორი აღნიშნავს მთელ რიგ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან საქალაქო ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას. იგი მოითხოვს განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ ქალაქის ყველა სახეობის ტრანსპორტი უზრუნველყოფილ იქნას სათადარიგო ნაწილებით. დასასრულ დეპუტატი შეეხო ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობის საკითხებს.

### დეპუტატ ბ. ვ. ბლიაძის სიტყვა

— ბორჯომის რაიონის მშრომელებს, — აღნიშნავს დეპუტატი ბლიაძე, — თავიანთი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. 150 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას უშვებენ ბორჯომის ჩამოსასხმელი და მინის ქარხნები, ახალდაბის ავეჯის ფაბრიკა, ბაკურიანის ანდეზიტის კარიერები და სხვ.

რაიონის მრეწველობის მუშაკები და სოფლის მეურნეობის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან სკკპ XXI ყრილობისათვის. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები ყოველ საბჭოთა ადამიანს ავსებს სიხარულით მძლავრი სოციალისტური სამშობლოსათვის, რომელიც გიგანტური ნაბიჯით მიდის კომუნიზმის მშენებლობის გზით.

მომავალ შვიდწლედში დასახულია რაიონის, ისევე როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი მნიშვნელოვანი განვითარება. 1,7-ჯერ გადიდდება ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის პროდუქცია, მნიშვნელოვნად გაიზრდება ბორჯომის წყლის ჩამოსხმა, რაც 1965 წელს 100 მილიონ ბოთლს მიაღწევს.

— ჩვენ, — ამბობს დეპუტატი, — შესაძლებლობა გვაქვს მნიშვნელოვნად გავადიდოთ ბორჯომის წყლის ჩამოსხმა. მაგრამ იგრძნობა მინის ტარის დიდი ნაკლებობა. მიმდინარე შვიდწლედში გათვალისწინებულია 40 პროცენტით გადიდდეს ბორჯომის მინის ქარხნის სიმძლავრე. ეს საკმარისი არ არის. ამიტომ საჭიროა დაჩქარდეს მინის ქარხნის მშენებლობა ხაშურში.

### დეპუტატ ს. ფ. ჭკადუას სიტყვა

ორატორი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებენ საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

დეპუტატი ლაპარაკობს იმ ცვლილებებზე, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა მესტიის რაიონში, წარმატებებზე, რომლებითაც რაიონის მშრომელები ეგებებიან კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას. წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, ენგურის სატყეო მრეწველობის მეურნეობის, მარმარილოს წარმოების კოლექტივებმა. საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა გადიდდა.

მაგრამ სოფლის მეურნეობის განვითარების დონე რაიონში ჯერ კიდევ დაბალია, ბევრია ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობა. ნელი ტემპით ინერგება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მეცხოველეობასა და მემინდვრეობაში. ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა კოლმეურნეობებს მეტი დახმარება გაუწიოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

ორატორი სთხოვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას გამოჰყოს საჭირო სახსრები, რომ მესტიაში აიგოს შენობები ელექტროსადგურისათვის, საავადმყოფოსათვის, აგრეთვე მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის, რომელშიც ბევრი ძვირფასი ექსპონატი ინახება.

(დასასრული მე-8 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

# კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

(დასასრული)

### დეპუტატ ს. გ. გელენიძის სიტყვა

დიდი შრომითი წარმატებებით ეგებებიან საქართველოს კპ მომავალ XIX ყრილობასა და სკკპ XXI ყრილობას ქუთაისის მშრომელები. ქალაქის მრეწველობამ 1958 წლის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა. გეგმის ზევით გამოშვებულია 55 მილიონი მანეთის პროდუქცია. მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდამ წინა წელთან შედარებით 73 პროცენტი შეადგინა. ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ დავალების გადამეტებით გამოუშვა ათობით სატვირთო მანქანა, აგრეთვე 66,5 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები.

გაწეულია დიდი მუშაობა ქუთაისის კომუნალური ქსელის გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის. ამჟამად ქალაქი უკეთ მარაგდება სასმელი წყლითა და ელექტროენერგიით. მოასფალტებულია ბევრი ქუჩა და მოედანი. ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა. გასულ წელს აშენდა 18.420 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ჯერ კიდევ დიდი ამოცანები დგას მშენებლების წინაშე მიმდინარე წელს.

— ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტი, ამბობს დასასრულ დეპუტატი გელენიძე, გათვალისწინებულია 81 მილიონი მანეთის ოდენობით. ეს მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე შარშან. დიდდება სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები. ეს ბიუჯეტი საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივი ზრუნვის კიდევ ერთი გამოვლინებაა.

### დეპუტატ ა. ს. ბექაურის სიტყვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, ამბობს დეპუტატი ბექაური, შეაჯამა განვლილ 5 წელიწადში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ბრწყინვალე შედეგები. პარტიამ სოფლის მშრომლებს დაუსახა ახალი დიდი ამოცანები. მთელი ქართველი ხალხი, აღფრთოვანებული თავისი შრომის მაღალი შეფასებით, რომელიც მოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში, მზად არის არ დაიშუროს ძალღონე სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის.

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეები, ამბობს ორატორი, ახალი ძალებით შეუდგნენ 1959 წლის დავალებათა შესრულებას. მათ გამოავლინეს ხორცისა და რძის წარმოების გადიდების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის ბევრი ახალი რეზერვი. სოფლის მშრომელთა შორის ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება იმის თავდებია, რომ მიმდინარე წელი იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი გადიდების წელი.

დეპუტატი აყენებს მთელ რიგ საკითხებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ რაიონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭიროა მიწების მორწყვის ყოველი ღონისძიებით გაფართოება. მაგრამ რაიონს არა აქვს საჭირო სარწყავი ქსელი. დეპუტატ ბექაურს შეაქვს წინადადება შეტანილ იქნას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმაში ალგეთის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

დეპუტატი ლაპარაკობს აგრეთვე იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს თეთრი წყაროსა და მანგლისის კეთილმოწყობისა და რაიონულ ცენტრში სასტუმროსა და საავადმყოფოს მშენებლობის სამუშაოები.

### დეპუტატ ვ. ი. პაპიაშვილის სიტყვა

სამშენ მასალათა წარმოების გაფართოების საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა დეპუტატმა პაპიაშვილმა. იგი ამბობს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია სამშენ მასალათა, უწინარეს ყოვლისა ცემენტის წარმოების ისეთი დონე, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს მთელი მზარდი სახელმწიფო კაპიტალური მშენებლობის, აგრეთვე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საჭიროებანი.

კაპიტალური და საბინაო მშენებლობის დიდი მასშტაბი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში სახავს ამოცანას მნიშვნელოვნად გადიდდეს სამშენ მასალათა წარმოება. ამ დავალების შესრულებაში მნიშვნელოვანი წილი უდევს სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხანას. ქარხანა წლითიწლობით ადიდებს ცემენტისა და შიფერის გამოშვებას. მაგალითად, გასულ წელს ქარხანამ ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა ათასობით ტონა მაღალი მარკის ცემენტი, 1.280 ათასი ცალი შიფერი.

კასპელი მეცემენტეები პოულობენ პროდუქციის წარმოების გადიდების გზებს რეზერვების უკეთ გამოყენების საშუალებით. როცა დაისვა საკითხი მოქმედი № 3 ღუმელის რემონტის შესახებ, მათ წინადადება წამოაყენეს რემონტისათვის გათვალისწინებული სახსრებით ააშენონ ახალი ღუმელი. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ. ახლა ქარხანაში სწრაფი ტემპით წარმოებს ახალი ღუმელის მშენებლობა, რომელიც შესაძლებელს გახდის გადიდდეს ცემენტის გამოშვება რამდენიმე ათეული ათასი ტონით წელიწადში.

დასასრულ დეპუტატმა პაპიაშვილმა აღძრა მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაჭრა გაადიდებს ცემენტისა და შიფერის წარმოებას საწარმოო სიმძლავრეთა გაუდიდებლად. კერძოდ, იგი მოითხოვს სამშენებლო - სამონტაჟო ორგანიზაციებისაგან დააჩქარონ მშენებლობა საჰაერო საბაგირო გზისა, რომელიც ქარხანას შეაერთებს ნედლეულის კარიერებთან.

### დეპუტატ დ. ი. ბერეჟიანის სიტყვა

წლითიწლობით, ამბობს დეპუტატი, იზრდება ჩვენს ქვეყანაში ასიგნობანი ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების და სოციალური უზრუნველყოფის საჭიროებისათვის. საბჭოთა ადამიანების ცხოვრება სულ უფრო უზრუნველყოფილი ხდება. იზრდება მათი მყიდველობითი უნარი. საბჭოთა კავშირში დიდი წარმატებებია მიღწეული ჯანმრთელობის დაცვის დარგში. ამის მაგალითია ჩვენი რესპუბლიკა, სადაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჯანმრთელობის დაცვა მაღალ საფეხურზე ავიდა.

შვიდ წელიწადში მოსახლეობის საქმიმო მომსახურება კიდევ უფრო გაუმჯობესდება. მნიშვნელოვნად გაფართოვდება სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი. მარტო მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ იქნება გადაცემული ახალი საავადმყოფოები 1.150 საწოლით.

დეპუტატი ბერეჟიანი ლაპარაკობს იმაზე, რომ ბოლო დროს რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობა კოლმეურნეობათა ძალებით. ზუგდიდის რაიონის თითქმის ყოველ სოფელში შენდება საავადმყოფოები, საექიმო პუნქტები, აფთიაქები. მიმდინარე წელს სოფელ [illegible] მწყობრში ჩადგება საავადმყოფოები 400 საწოლით.

დეპუტატი ბერეჟიანი აკრიტიკებს სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებიც შეუწყნარებლად აჭიანურებენ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების აგებას. ნელი ტემპით მიმდინარეობს საავადმყოფოების მშენებლობა თბილისში, ქუთაისში. საჭიროა, — ამბობს იგი, — მეტი ყურადღება მიექცეს სამკურნალო - პროფილაქტიკურ დაწესებულებათა აღჭურვას მედიკამენტებით, მათ დაკომპლექტებას მაღალკვალიფიციური პერსონალით. ორატორი აკრიტიკებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, რომელიც ნაკლებად ზრუნავს რესპუბლიკის კურორტებზე დამსვენებელთა კულტურული მომსახურებისათვის. ვაჭრობის სამინისტრო და მისი ორგანიზაციები ცუდად ამარაგებენ დამსვენებლებს კვების პროდუქტებით.

### დეპუტატ ნ. ვ. გომელაურის სიტყვა

საქართველოს მშრომელები, ამბობს ამხ. გომელაური, ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან სკკპ XXI ყრილობისათვის, რომელიც განიხილავს და დაამტკიცებს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიდებულ პროგრამას. მშობლიური პარტიის ყრილობას დიდი წარმატებებით ეგებებიან საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა კოლექტივები. გასული წლის გეგმის გადამეტებით მათ ასეულ მილიონობით მანეთის სხვადასხვა პროდუქცია გამოუშვეს. საერთო პროდუქციის ზრდა 1957 წელთან შედარებით 10,7 პროცენტს შეადგენს.

ამასთანავე სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის მუშაობას კიდევ აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ყველა საწარმო როდი ასრულებს გეგმას. ფაბრიკა-ქარხნების ზოგიერთი ხელმძღვანელი ღრმად ვერ სწვდება წარმოების ეკონომიკას, მოგვარებული არა აქვს რიტმული მუშაობა. ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულმა ქარხანამ ჩვენს ქვეყანას დააკლო ათეულ ათასობით ტონა ფოლადი და ნაგლინი. თავიანთი დავალებანი ვერ შეასრულეს აგრეთვე რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობამ და საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტმა.

1959 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა, რომელსაც ეს სესია განიხილავს, აგებულია არსებული საწარმოო სიმძლავრეების, რეზერვების შესაბამისად, იგი ემყარება არსებული ნედლეულის მარაგს და სავსებით რეალურია. მისი შესრულება უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ მნიშვნელოვან აღმავლობას. მიმდინარე წელს ჩვენ უნდა გამოვუშვათ ასეულ მილიონობით მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე 1958 წელს. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება. ეს საწარმოთა კოლექტივებს ავალებს მტკიცედ იბრძოლონ ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის.

### დეპუტატ პ. ს. აბესაძის სიტყვა

დეპუტატი აბესაძე ლაპარაკობს ჭიათურის მშრომელთა ბრძოლაზე მარგანეცის მადნის ამოღების გადიდებისათვის, მაღაროელთა ქალაქის კეთილმოწყობაზე, მისი ბიუჯეტის განუწყვეტელ ზრდაზე.

ჭიათურის რაიონისა და ქალაქ ჭიათურის ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანების შედეგად ქალაქის 1958 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობა შემოსავლისა და გასავლის ნაწილში განსაზღვრულ იქნა 26.421 ათასი მანეთის ოდენობით. წინასწარი მონაცემებით, ბიუჯეტის შემოსავალი შეადგენს 31 მილიონ მანეთს. ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე განხორციელდა ქალაქის კეთილმოწყობის მნიშვნელოვანი დამატებითი სამუშაოები.

ამ ბოლო დროს გაფართოვდა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა. ქალაქში წარმოიშვა ახალი უბნები. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი საკითხია. არ არის მოწესრიგებული მოსახლეობის მომარაგება წყლით და ელექტროენერგიით. არ არის სასადილო, მაღაზია, სკოლა, კინოთეატრი. საბავშვო ბაღი და სხვა კულტურულ - საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

შემდეგ ორატორი ეხება მარგანეცის მრეწველობის შემდგომი განვითარების პერსპექტივების საკითხს. მიმდინარე წელს ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობაზე, ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავებაზე უნდა დაიხარჯოს 174 მილიონი მანეთი. ამავე დროს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ ფაქტიურად ამ მიზნებისათვის გამოჰყო მხოლოდ 115 მილიონი მანეთი.

დეპუტატი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას დამატებითი ასიგნობანი პიონერთა სასახლისა და კულტურის სახლის მშენებლობის დამთავრებისათვის. ქალაქში, აგრეთვე რაიონის სოფლებში მთელი რიგი სკოლები მოთავსებულია სწავლისათვის გამოუსადეგარ შენობებში. ამავე დროს სასკოლო შენობების მშენებლობა სუსტად მიმდინარეობს. საჭიროა ამის გათვალისწინება ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

### დეპუტატ ს. დ. რამაზაშვილის სიტყვა

დეპუტატი რამაზაშვილი ლაპარაკობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის უდიდეს მნიშვნელობაზე. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში პლენუმზე „სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები", პლენუმის დადგენილებაში ამ საკითხზე შეჯამებულია შედეგები ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ხუთი წლის ბრძოლისა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში ჩამორჩენის აღმოფხვრისათვის.

განვლილ ხუთ წელიწადში დიდი წარმატებები მოიპოვეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. ამ მიღწევებმა მაღალი შეფასება ჰპოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ახმეტის რაიონის მშრომელებმაც. გასულ წელს მათ საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 74 ცენტნერი ყურძენი. გაადიდეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მაგალითად, წველადობამ საშუალოდ ერთ ძროხაზე სამჯერ გადააჭარბა 1953 წლის მაჩვენებლებს.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, აცხადებს დეპუტატი რამაზაშვილი, ახალი შრომითი გმირობისათვის შთააგონებენ საბჭოთა ადამიანებს. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განახორციელონ შვიდწლედის გეგმები, თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

### დეპუტატ ნ. ა. ღლონტის სიტყვა

დეპუტატი ღლონტი ლაპარაკობს ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა წარმატებებზე. გასულ წელს რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 1.946 ტონით მეტი ჩაი, ვიდრე 1953 წელს. პლანტაციების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე შეადგენს 3.553 კილოგრამს. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. რძის მთლიანი წარმოება 1953 წელთან შედარებით 16.690 ცენტნერით გადიდდა. გადაჭარბებით შესრულებულია სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის დავალებანი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდამ და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებამ ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო არტელების შემოსავლის გადიდებას. გასულ წელს მათი ფულადი შემოსავალი შეადგენდა 80 მილიონ მანეთს. ეს 17 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1953 წელს. ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები.

საზოგადოებრივ მეურნეობაში შემოსავლის ზრდა საშუალებას იძლევა ფართოდ გაიშალოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა სოფლად. მახარაძის რაიონის მშრომელთა მოწოდების პასუხად ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეადგინეს კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმა. ამ მიზნებისათვის გათვალისწინებულია დაიხარჯოს 22 მილიონ მანეთზე მეტი.

დეპუტატი ღლონტი დეპუტატთა ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა ლანჩხუთის რაიონს გაუდიდდეს ასიგნობანი რამდენიმე ასეული ჰექტარი დაჭაობებული მიწების ამოშრობის სამუშაოთა განსახორციელებლად, სოფლების ელექტროფიკაციისათვის, გზების კეთილმოწყობისათვის.

დასასრულ დეპუტატი ღლონტი რწმენას გამოთქვამს, რომ სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები რესპუბლიკის მშრომელთა ერთსულოვან მოწონებას ჰპოვებენ. მშრომელნი წარმატებით შეასრულებენ შვიდწლედის პირველი წლის დავალებებს, რითაც ცხადყოფენ თავიანთ ერთგულებას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

### საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილის ზ. ს. ჯაფარიძის სიტყვა

— საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ 1958 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყოველდღიური დახმარებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მუშაობაში, — ამბობს ამხ. ჯაფარიძე, — წლიური გეგმა შესრულებულია 104,7 პროცენტით, აქედან საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა—100,4 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადაცემულია 122.240 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამასთან ორატორმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი სამინისტროს სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში. სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ყველა ობიექტი როდია გადაცემული საექსპლოატაციოდ. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი მთელ რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. საცხოვრებელ სახლებსა და სხვა ნაგებობებს აბარებენ მოუთავებელს, ხოლო ზოგჯერ დეფექტებითაც, რომელთა ლიკვიდაცია ხშირად ჭიანურდება. ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია მუშახელის დენადობა; არის მასალების გადახარჯვა.

წელს მშენებლების წინაშე კიდევ უფრო რთული ამოცანებია დასახული. მშენებლობის, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობის მოცულობა იზრდება. იზრდება მოთხოვნები ხარისხისადმი. ამ ამოცანების შესრულება შეუძლებელია, თუ არ შეიქმნა შესაბამისი საწარმოო ბაზა. შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს საკმაო სახსრებს მშენებლობის საწარმოო ბაზის გაფართოებისათვის. მაგრამ მათი განაწილება ცალკეული წლების მიხედვით ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვების თანაბარ ზრდას.

სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო საკმაო რაოდენობით ვერ უზრუნველყოფს მშენებლობებს ღორღით, დაფქული კირით, სამშენი ქვით, მოსაპირკეთებელი ფილებით, გაჯით და სხვ. იძულებული ვართ შინამრეწველური წესით დავამზადოთ ეს მასალები, რაც მნიშვნელოვნად აძვირებს მშენებლობის ღირებულებას. იმასთან დაკავშირებით, რომ მშენებლობათა აღჭურვა მექანიზმებით განუწყვეტლივ იზრდება, საჭიროა რესპუბლიკაში შეიქმნას მათი შესაკეთებელი საწარმო.

ორატორი ამბობს, რომ მშენებლები არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

### რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ი. დ. ვიშნიაკოვის სიტყვა

ინდუსტრიული რუსთავის ყველა საწარმოში და მშენებლობაზე, ამბობს ამხ. ვიშნიაკოვი, ახლა გაცხოველებული მუშაობაა. მებრძმედეებს, მეფოლადეებს, მგლინავებს, ქიმიკოსებს, მეცემენტეებს, მშენებლებს — ქალაქის ყველა მშრომელთ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ღირსეულად აღნიშნონ საქართველოს კომუნისტური პარტიის მოახლოებული XIX ყრილობა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა.

ახალგაზრდა ქალაქში მიმდინარეობს დიდი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. მაგრამ მაშინ, როცა დიდია ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობის მასშტაბი, ჩამორჩება საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა შენობების მშენებლობა. ახალ დიდ სამრეწველო საწარმოთა საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად, რომლებიც შეიქმნება აქ შვიდწლედში, ქალაქ რუსთავის მოსახლეობის რაოდენობა 1965 წლისათვის ერთიორად გადიდდება. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ავაშენოთ და საექსპლოატაციოდ გადავცეთ 420 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ 60 ათასი კვადრატული მეტრი ყოველწლიურად, საჭირო იქნება აგრეთვე კიდევ უფრო მეტად გაფართოვდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების ქსელი. დიდ საწარმოთა შექმნა, სადაც დასაქმებული იქნება ქალების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მოითხოვს საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას.

ქალაქის მშრომელთა სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო იქნება აშენდეს ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი. ყოველივე ეს გათვალისწინებულ უნდა იქნას ახალი სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

შემდეგ ორატორი შეეხო ზოგიერთ სერიოზულ ნაკლს საქალაქო მშენებლობაში. რუსთავის გაზიფიკაციისათვის მზადების სამუშაოები თითქმის შეწყდა საჭირო რაოდენობით მილების მოუწოდებლობის გამო.

მოიწონა რა სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, ამხ. ვიშნიაკოვი სთხოვს სესიას დაამტკიცოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წინადადება, რომ ქალაქ რუსთავის ადგილობრივი ბიუჯეტის გასავლის ნაწილი გადიდდეს 200 ათასი მანეთით.

### დეპუტატ ვ. ს. კვარაცხელიას სიტყვა

ფოთის მშრომელები, აღნიშნავს დეპუტატი კვარაცხელია, პარტიის XXI ყრილობისათვის ემზადებიან უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. 1958 წლის გეგმა ქალაქის მრეწველობამ 101,1 პროცენტით შეასრულა. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები წარმატებით ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს, რაც ყრილობისწინა სოციალისტურ შეჯიბრებაში იკისრეს.

მაგრამ ყველა საწარმო როდი მუშაობს რიტმულად. გეგმების შესრულებაში ძლიერ ჩამორჩება, მაგალითად, ფოთის თევზკომბინატი. არ არის შესრულებული აგრეთვე ქალაქის 1958 წლის ბიუჯეტი როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში.

შემდეგ ორატორი ეხება ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა, ჯერ კიდევ არის მთელი რიგი გადაუჭრელი საკითხები. არ ხორციელდება ფოთის გარეუბნებში დაჭაობებული მიწების ამოშრობის ღონისძიებანი. არსებული წყალსადენის ქსელი ვერ აკმაყოფილებს მზარდი ქალაქის საჭიროებებს. 1955 წელს შედგენილ იქნა წყალსადენის მეორე რიგის პროექტი, მაგრამ მშენებლობის დაწყება რატომღაც ჭიანურდება. დეპუტატი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა განხორციელდეს ქალაქის ელექტროქსელის რეკონსტრუქცია და დაჩქარდეს სანაპირო საყრდენი კედლების მშენებლობა.

ფოთის მშრომელთა სახელით დეპუტატი კვარაცხელია სიტყვას აძლევს სესიას, რომ ისინი ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა განახორციელონ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით დასახული ამოცანები.

### დეპუტატ ზ. მ. ტრდატიანის სიტყვა

დეპუტატი ლაპარაკობს ახალციხის რაიონის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა ფართოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. ათასობით საბჭოთა პატრიოტის დევიზი ხდება იმუშაონ, იცხოვრონ და ისწავლონ კომუნისტურად. რაიონის მრეწველობა, რომელმაც შარშან გეგმის გადამეტებით 13,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, წელსაც რიტმულად მუშაობს. საკოლმეურნეო მინდვრების მუშაკები საფუძველს უყრიან მომავალი წლის მოსავალს.

მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა, ამბობს დეპუტატი, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. მეტად დაბალია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. მისი გადიდებისათვის საჭიროა გავადიდოთ სარწყავი მიწების ფართობი. ჩვენ ვთხოვთ მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიასა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საჭირო რაოდენობით გამოუყონ ახალციხის რაიონს ლითონის მილები.

ორატორი აღნიშნავს, რომ რაიონში სტაციონარული ქვესადგურების უქონლობის გამო ყველა სოფელი როდია ელექტროფიცირებული. ამასთან დაკავშირებით მას საჭიროდ მიაჩნია დაევალოს საქენერგოს შეუდგეს 1959 წელს სტაციონარული ქვესადგურების მშენებლობას. საჭიროა აგრეთვე გადიდდეს ასიგნობანი საბინაო მშენებლობისათვის.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმებმა საბჭოთა ხალხის წინაშე დასახეს გრანდიოზული ამოცანები, რომელთა განხორციელება მოითხოვს ბევრ ძალღონეს, ენერგიასა და შრომას. დეპუტატი სიტყვას აძლევს უმაღლეს საბჭოს, რომ ახალციხის რაიონის მშრომელნი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით განახორციელონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები.

### საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრის მოადგილის ამხ. შ. ე. პაატაშვილის სიტყვა

ამხ. პაატაშვილი ლაპარაკობს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმო-დაწესებულებათა მუშაობის შესახებ. გასული წლის გეგმა მათ 105,6 პროცენტით შეასრულეს. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგურის, კირის, პარკეტისა და სხვა სამშენი მასალების წარმოება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 7 მილიონი ცალი აგური, 10 ათასი ტონა კირი, 20 ათასი კვადრატული მეტრი პარკეტი.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა კომუნალურ საწარმოთა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა ქსელი, გაიზარდა მათი სიმძლავრე. მაგალითად, 5 წლის მანძილზე რესპუბლიკაში (თბილისის ჩაუთვლელად) აშენებულია 21 წყალსადენი და გაფართოებულია 19 წყალსადენი, აშენებული და რეკონსტრუირებულია 17 სასტუმრო, 41 აბანო და საშხაპე. ელექტრომეურნეობის რეკონსტრუქციისა და გაფართოების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მოსახლეობის მომარაგება ელექტროენერგიით. 1958 წელს მოსახლეობამ მიიღო 62 მილიონი კილოვატ-საათით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 1954 წელს.

დიდი ამოცანებია დასახული ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოების წინაშე მიმდინარე წელს. განსაკუთრებით ფართოდ გაიშლება საბინაო და კომუნალური მშენებლობა. მარტო 1959 წელს უნდა აშენდეს მნიშვნელოვნად მეტი საცხოვრებელი სახლი, ვიდრე მთელ წინა ხუთწლედში. ამისათვის საჭირო იქნება დიდძალი სამშენი მასალა. ამხ. პაატაშვილი სთხოვს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიას გაითვალისწინოს, რომ სამინისტროს გამოუყონ საჭირო სამშენი მასალები და მოწყობილობა.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ყურადღება საქართველოს სსრ რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისადმი. იგი აცხადებს, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოორგანიზაციების კოლექტივები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე დასახული ახალი დიდი ამოცანები.

### დეპუტატ ა. რ. აბაევის სიტყვა

თავის სიტყვაში დეპუტატი აღნიშნავს, რომ დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები მნიშვნელოვანი წარმატებებით ეგებებიან საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, 1958 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის კარგი მოსავალი მოვიდა. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. საშუალოდ ერთი ძროხის წველადობამ შეადგინა 1.669 კილოგრამი ნაცვლად 1.038 კილოგრამისა 1953 წელს. საერთო წველადობა ამ ხანში გადიდდა თითქმის 19 ათასი ცენტნერით. ხუთ წელიწადში ერთიორად გადიდდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებს დიდი მუშაობა აქვთ შესასრულებელი. ჯერ კიდევ დაბალია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა. გასული წლის სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რაიონში აშენდეს სარწყავი სისტემა. მაგრამ მისი რეალიზაცია შეუწყნარებლად ნელა მიმდინარეობს. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამინისტროს დღემდე საპროექტო-საკვლევი სამუშაოებიც კი არ შეუსრულებია.

დეპუტატი ლაპარაკობს რაიონული ცენტრისა და რაიონის სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოებზე. უკანასკნელი წლების მანძილზე ამ მხრივ გარკვეული მუშაობაა შესრულებული. ამასთანავე რაიონში ელექტროენერგიის დიდი ნაკლებობა იგრძნობა. ამასთან დაკავშირებით იგი სთხოვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი დმანისის რაიონის ელექტროენერგიით მომარაგების გასაძლიერებლად.

ორატორმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას. იგი ამბობს, რომ რაიონული და სასოფლო საბჭოების მუშაობა მნიშვნელოვნად გაცხოველდა, განმტკიცდა მათი კავშირი მასებთან. საბჭოები აქტიურად მონაწილეობენ მომწიფებული სამეურნეო საკითხების გადაჭრაში. რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატები რეგულარულად აბარებენ ანგარიშს ამომრჩევლებს.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

## საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის, დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის საბოლოო სიტყვის შინაარსი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, — ამბობს ამხ. ჩხეიძე, — რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ წარმოადგინა უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად, წინასწარ ყოველმხრივ განიხილა საბიუჯეტო კომისიამ. საბიუჯეტო კომისია, როგორც ეს მისი თავმჯდომარის დეპუტატ ჭირაქაძის მოხსენებიდან ჩანს, და კამათში გამოსული დეპუტატები ერთსულოვნად იწონებენ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმას და ბიუჯეტს, რომლებიც მთლიანად უპასუხებენ საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შვიდწლიანი გეგმის პირველი წლისათვის დასახულ ამოცანებს.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი, როგორც ეს დეპუტატების გამოსვლებში იყო აღნიშნული, შედგენილია იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში და იმ დავალებათა შესაბამისად, რომლებიც 1959 წლისათვის გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით.

საბიუჯეტო კომისიამ შემოიტანა წინადადება დაწესდეს 1959 წლისათვის ზოგიერთი სამრეწველო და სასურსათო საქონლის და საშენი მასალების გამოშვების დამატებითი დავალება 34 მილიონი მანეთის ოდენობით, დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი შემდეგი შესწორებებით:

გადიდდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი მოგების ანარიცხებში 7 მილიონი მანეთით, მათ შორის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს ხაზით 3 მილიონი მანეთით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით — 2 მილიონი მანეთით, ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებისაგან — 2 მილიონი მანეთით და სხვა არასაგადასახადო შემოსავალი და გამოსაღები — 1 მილიონი მანეთით, სულ 8 მილიონი მანეთით.

გადიდდეს სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი იმავე რაოდენობით, რაც მიმართულ იქნას შემდეგ ღონისძიებებზე:

განათლებისა და კულტურის დაწესებულებებისათვის ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად—880 ათასი მანეთი, ამავე დაწესებულებათა შენობების კაპიტალურ რემონტზე—1.215 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა შენობების კაპიტალურ რემონტზე — 865 ათასი მანეთი. კომუნალური და საბინაო მეურნეობის ღონისძიებებზე — 2.690 ათასი მანეთი, ადგილობრივი კურორტების კეთილმოწყობაზე — 1.350 ათასი მანეთი, სასპორტო ბაზების კეთილმოწყობასა და ინვენტარის შეძენაზე —800 ათასი მანეთი, კულტურის სამინისტროს დაწესებულებათა ხარჯებზე — 200 ათასი მანეთი, სულ 8 მილიონი მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დამავალა მოგახსენოთ, — განაგრძობს ამხ. ჩხეიძე, — რომ ის თანახმაა საბიუჯეტო კომისიის ზემოაღნიშნულ წინადადებებზე და მიზანშეწონილად მიაჩნია მათი მიღება.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ნაზაძემ, თხილაიშვილმა, გელაშვილმა, თიბილოვმა, დოლიძემ, ფერაძემ, სუხიშვილმა, ბლიაძემ, გელენიძემ, ბექაურმა, პაპიაშვილმა, ღლონტმა, აბესაძემ, რამაზაშვილმა, კვარაცხელიამ, ტრდატიანმა, აგაევმა, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვიშნიაკოვმა, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ჯაფარიძემ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრის მოადგილემ პაატაშვილმა დააყენეს საკითხები ახალი ქარხნების, კომუნალურ-საბინაო, სარწყავი არხების, გზების და ხიდების მშენებლობის და სანაპიროების გამაგრების, სკოლებისა და საავადმყოფოების, კულტურის სახლების, მუზეუმებისა და სასპორტო ბაზების და სხვა ახალი ობიექტების მშენებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით ზემოთ მოყვანილ საკითხებზე ამხ. ჩხეიძე სესიას მოახსენებს შემდეგს:

როგორც აღნიშნული იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენებაში, 1959 წელს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება და შეადგენს 2.051 მილიონ მანეთს. აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი წარიმართება მძიმე მრეწველობის დარგების უპირატესი განვითარებისათვის და ამ საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ზრდისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

გამოსული დეპუტატების უმრავლესობამ, მოიწონა რა კაპიტალურ დაბანდებათა წარმოდგენილი განაწილება, ამასთან ერთად, შემოიტანა წინადადებანი სხვადასხვა ახალი ობიექტების მშენებლობის დაწყების მიზნით დამატებით ასიგნობათა გამოყოფის შესახებ, რაც უთუოდ ყურადღების ღირსია.

დეპუტატებისათვის ნათელია, — აცხადებს ორატორი, — რომ ყველა შემოტანილი წინადადების და თხოვნის დაკმაყოფილება 1959 წელს შეუძლებელია, რადგან ეს დაკავშირებულია არა მარტო ფინანსური, არამედ აგრეთვე მატერიალური რესურსების დამატებით გამოძებნასთან. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა დეპუტატების მიერ შემოტანილი წინადადებანი გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

ამხ. ჩხეიძე აღნიშნავს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში კვლავ აქვს ადგილი სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვას მრავალ ობიექტზე და მოჰყავს სათანადო ფაქტები.

დეპუტატმა ჭკადუამ დააყენა საკითხი მესტიაში სამხარეთმცოდნეო მუზეუმის მშენებლობის შესახებ. მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია სპეციალურად შეისწავლოს ეს საკითხი და წლის განმავლობაში გამოჰყოს სათანადო თანხა ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

დეპუტატმა ფერაძემ ყურადღება გაამახვილა ქალაქ ზესტაფონში მეტალურგთა კულტურის სახლის მშენებლობის დამთავრების დაჩქარებაზე. ამავე საკითხზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა დეპუტატების ხიდაშელის და კვანტრიშვილის წერილობითი შეკითხვა ამ ობიექტის მშენებლობაზე. წელს გათვალისწინებულია 300 ათასი მანეთის გამოყოფა. მინისტრთა საბჭო საჭიროდ თვლის გამოჰყოს წლის განმავლობაში 1,2 მილიონი მანეთი, რაც მშენებლობაში ზედმეტობის ლიკვიდაციის პირობებში საკმარისი იქნება მის დასამთავრებლად.

დეპუტატებმა თხილაიშვილმა და თიბილოვმა დასვეს მთელი რიგი საკითხები კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მათი წინადადებები განხილული იყო მინისტრთა საბჭოს მიერ გამოყოფილ კომისიაში და მიღებულ იქნა სათანადო გადაწყვეტილებანი, მათ შორის დადებითად გადაწყდა საკითხი ქალაქ ბათუმში და ქალაქ სტალინირში ხიდების მშენებლობის შესახებ.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა დააყენეს აგრეთვე საკითხი ქალაქებისა და ადგილობრივი კურორტების კეთილმოწყობისა და სოციალურ - კულტურული ობიექტების კაპიტალური რემონტისათვის თანხების გამოყოფის შესახებ. აღნიშნული ღონისძიებებისათვის ბიუჯეტს ზევით დამატებითი თანხები უნდა გამოჰყონ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა სახალხო- სამეურნეო გეგმების ყველა მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულების შედეგად და ბიუჯეტის შესრულების პროცესში დამატებით ადგილობრივი შემოსავლის გამოვლინების ხარჯზე.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას 1959 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება, საჭიროა ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა აქედანვე გაატარონ სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებანი; უზრუნველყონ თვითეული საწარმოს, მშენებლობისა და სამეურნეო ორგანიზაციის მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულება. ამასთან უნდა გაძლიერდეს ყურადღება საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში არსებული რეზერვების გამოსავლინებლად, შიდასამეურნეო დაგროვების გასადიდებლად და მატერიალური და ფულადი რესურსების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენებისათვის.

ეჭვი არ არის,—თქვა დასასრულ ამხ. ჩხეიძემ, — რომ საქართველოს სსრ მშრომელები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, უზრუნველყოფენ 1959 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი პროგრამის წარმატებით შესრულების საქმეში.

# ა. ი. მიქოიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში

**დეტროიტი,** 9 იანვარი. (ტასის სპეც. კორ.). 8 იანვარს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები კლივლენდიდან დეტროიტში ჩამოვიდნენ. აეროპორტში ა. ი. მიქოიანს მიესალმა „დეტროიტ ედისონ კომპანი ენდ ასოშიეიტსის“ პრეზიდენტი უოლკერ სისლერი. უ. სისლერმა მადლობა გადაუხადა ა. ი. მიქოიანს გულთბილი მიღებისათვის ამას წინათ მისი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

განცხადებაში, რომელიც პრესის წარმომადგენლების წინაშე გააკეთა, ა. ი. მიქოიანმა თქვა, რომ დეტროიტს კარგად იცნობენ საბჭოთა ადამიანები როგორც დიდ სამრეწველო ცენტრს, ორგანიზებული მუშათა და საქმიანი წრეების ენერგიულ წარმომადგენელთა ქალაქს. მე მსურს გადავცე დეტროიტის მცხოვრებლებს გულთბილი სალამი, თქვა ა. ი. მიქოიანმა. მე მაქვს ერთი სურვილი — დაე ნურასოდეს ნუ იქნება ომი ჩვენს ხალხებს შორის. დაე ყველა ქვეყნის ხალხებმა მშვიდობიანად იცხოვრონ.

ა. ი. მიქოიანის მიერ დეტროიტში გატარებული დღე თითქმის მთლიანად მიეძღვნა ამერიკის საავტომობილო მრეწველობის ამ ცენტრის ქარხნებისა და ლაბორატორიების გაცნობას. პირდაპირ აეროდრომიდან ა. ი. მიქოიანი გაემართა კომპანია „ფორდის“ სამეცნიერო-საკვლევი ცენტრისაკენ. აქ ის დეტალურად გაეცნო საექსპერიმენტო სამქროებსა და ლაბორატორიებს; დაწვრილებით გამოკითხა თანამშრომლებს ახალი მასალების გამოცდის შესახებ, რასაც ისინი აწარმოებენ, დაათვალიერა მოწყობილობა და აპარატურა.

სამეცნიერო-საკვლევი ცენტრის დათვალიერების დროს ა. ი. მიქოიანმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ზოგიერთი ლაბორატორია მუშაობს ისეთ დარგებში, რომლებსაც არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება საავტომობილო მრეწველობასთან. იგი, კერძოდ, დაინტერესდა ელექტრონული ხელსაწყოთი, რომელიც განკუთვნილია გულის შინაგანი წნევის განსაზღვრისათვის, რაზედაც მუშაობს ერთ-ერთი ლაბორატორია.

შემდეგ ა. ი. მიქოიანმა დაათვალიერა ფორდის უდიდესი ქარხნის „რივერ რუჟის“ მოტორისა და სამწყობო სამქროები. ეს ქარხანა ამზადებს ავტომანქანების ნაწილებსა და დეტალებს ფირმის ავტოსამწყობო ქარხნებისათვის, რომლებიც შეერთებული შტატების სხვადასხვა კუთხეში მდებარეობენ.

ჩამოუარა რა სამქროების ნაკადურ ხაზებს, ა. ი. მიქოიანი მიესალმა მუშებს. ზოგიერთი მათგანი ერთი წუთით ტოვებს კონვეიერს, მიდის ა. ი. მიქოიანთან, რათა ხელი ჩამოართვას მას, სხვები მუშაობის შეუწყვეტლად წარმოთქვამენ: „ველკომ“ („კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“).

მოტორის სამქროში მოკლე საუბარი გაიმართა მუშათა ჯგუფთან. ა. ი. მიქოიანის კითხვაზე მშვიდობის შენარჩუნების საქმისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ გაცემს იგივე პასუხი, რომელიც ა. ი. მიქოიანმა მოისმინა ქარხანა „ლინკოლნ ელექტრიკ კომპანის“ მუშებისაგან კლივლენდში: „მუშები ომის წინააღმდეგი არიან“. დაამთავრა რა დათვალიერება, ა. ი. მიქოიანმა უთხრა კორესპონდენტებს: კარგი ქარხანაა, კარგი ადამიანები არიან. წარმატებებს ვუსურვებ მათ.

დღისით კომპანიის ცენტრალურ ადმინისტრაციულ შენობაში ჰენრი ფორდმა უმცროსმა ა. ი. მიქოიანის პატივსაცემად გამართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ შეერთებული შტატების საავტომობილო მრეწველობის, აგრეთვე დეტროიტის საქმიანი წრეების გამოჩენილი წარმომადგენელნი: კორპორაცია „ჯენერალ მოტორსის“ გამგეობის თავმჯდომარე ფრედერიკ დონერი, კომპანია „ფორდის“ გამგეობის თავმჯდომარე ერნესტ ბრიჩი, კომპანია „ამერიკენ მოტორს კორპორეიშენის“ პრეზიდენტი ჯორჯ რომნი, კომპანია „დეტროიტ ედისონის“ პრეზიდენტი სისლერი, დეტროიტის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ჰენრი ბოდმენი და სხვები. გამოეთხოვა რა ჰენრი ფორდს, ა. ი. მიქოიანმა თქვა: თქვენს ფირმასა და ჩვენს ქვეყანას შორის მუდამ იყო კარგი საქმიანი ურთიერთობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თქვენი პაპის ტრადიციებს განაგრძობთ.

საუზმის შემდეგ ა. ი. მიქოიანმა დაათვალიერა უდიდესი კორპორაციის „ჯენერალ მოტორსის“ სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი, სადაც გაეცნო მუშაობას ახალი ავტომანქანების მოდელებზე. შემდეგ ა. ი. მიქოიანმა დაათვალიერა მეორე უდიდესი საავტომობილო კორპორაციის კრაისლერის მოტორის ქარხანა.

ავტოქარხნებისა და სამეცნიერო-საკვლევი ცენტრების დათვალიერების დროს ა. ი. მიქოიანს გამუდმებით მიჰყვებოდა 100-მდე კორესპონდენტი და ფოტორეპორტიორი, რომელთა შორის იყო ამერიკის ცენტრალური პრესის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი, აგრეთვე უცხოელი კორესპონდენტები.

საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი და ა. ი. მიქოიანის თანმხლები პირები იყვნენ სადილზე დეტროიტის საქმიან კლუბში. 9 იანვარს ა. ი. მიქოიანი ჩიკაგოს გაფრინდა.

ლ. ველიჩანსკი,
გ. პარამონოვი.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ზ. ბ. გელდიაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად შემოაქვს:

პროექტი კანონისა „საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77, 86, 87 და 88 მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

და საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის მეექვსე სესიის შემდეგ და მოითხოვს კონსტიტუციის 55 და 56 მუხლებში სათანადო ცვლილებების შეტანას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამავალა მოგახსენოთ ამ საკითხების შესახებ.

I

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77, 86, 87 და 88 მუხლეიის მოქმედი რედაქციით განსაზღვრულია მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, აგრეთვე რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების კონკრეტული საარჩევნო ნორმები.

იმის გამო, რომ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების კონკრეტული საარჩევნო ნორმები განსაზღვრულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების სათანადო მუხლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1958 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ნორმების შესახებ“ მიზანშეუწონლად ჩათვალა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების კონკრეტული საარჩევნო ნორმების ჩამოთვლის შემდგომი დატოვება საქართველოს სსრ კონსტიტუციაში. ამის საფუძველზე შემოგვაქვს კანონის პროექტი თქვენს განსახილველად, რომ კონსტიტუციის 77, 86, 87 და 88 მუხლებიდან ამოღებულ იქნას ადგილობრივი საბჭოების არჩევნების კონკრეტული საარჩევნო ნორმები და აღნიშნული მუხლები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. კანონის პროექტი ითვალისწინებს, რომ კონსტიტუციის 77 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ირჩევენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოქალაქენი ორი წლის ვადით იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ“.

ასევე კანონის პროექტი ითვალისწინებს, რომ კონსტიტუციის 86, 87 და 88 მუხლებიდან ამოღებულ იქნას რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების კონკრეტული საარჩევნო ნორმები და ამ მუხლებში ჩაიწეროს, რომ „მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოები აირჩევიან იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ“.

ამრიგად, თუ შემდგომში მოხდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ნორმების შეცვლა, და ეს, რასაკვირველია, მოხდება მოსახლეობის ზრდის შედეგად, საჭირო აღარ გახდება კონსტიტუციის სათანადო მუხლების შეცვლა.

დეპუტატებს უნდა მოვახსენო აგრეთვე, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1958 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში მშრომელთა ფართო მასების უფრო მეტად ჩაბმის მიზნით მიზანშეწონილად ჩათვალა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში დეპუტატთა რიცხვის ერთგვარი გადიდება და სათანადო ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების 25, 33, 41 და 49 მუხლებში.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ახალი საარჩევნო ნორმებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოში აირჩევა ერთი დეპუტატი ყოველ 1000 მცხოვრებზე ნაცვლად წინათ არსებული ნორმისა — 1500 მცხოვრებისა;

მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებში აირჩევა 40-80 დეპუტატი ნაცვლად 35-60 დეპუტატისა.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოებში (გარდა თბილისისა) აირჩევა არანაკლებ 50 დეპუტატი ნაცვლად 35 დეპუტატისა.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებში ახალი საარჩევნო ნორმებით აირჩევა 20-50 დეპუტატი ნაცვლად 15-35 დეპუტატისა. იმ სასოფლო და სადაბო საბჭოებში კი, სადაც მოსახლეობა 500 კაცამდეა, და იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 3 ათას კაცამდეა, შესაბამისი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით შეიძლება არჩეულ იქნას სასოფლო და სადაბო საბჭოებში 20-ზე ნაკლები და ქალაქად 50-ზე ნაკლები დეპუტატი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ახალი საარჩევნო ნორმების დაწესების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება დეპუტატთა რაოდენობა და საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში უფრო ფართოდ იქნება ჩაბმული მშრომელი მოსახლეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მიიღო რა მხედველობაში ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მრავალი წლის მანძილზე შეძენილი გამოცდილება საბჭოების არჩევნების ჩატარებაში, შეამცირა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადა და ნაცვლად ორი თვისა განსაზღვრა იგი 45 დღით.

ამის შესაბამისად შეტანილ იქნა ცვლილებები არჩევნების დებულების სათანადო მუხლებში.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს თქვენს განსახილველად შემოაქვს აგრეთვე საქართველოს სსრ კონსტიტუციის 148 მუხლის ცვლილებები. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 148 მუხლით გათვალისწინებულია მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება დეპუტატთა არჩევნებში. ამ მუხლის მოქმედი რედაქციით დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომლებსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლებები. მაგრამ იმის გამო, რომ სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მიიღო კანონი სისხლის სამართლის სასჯელის ზომის — საარჩევნო უფლებების ჩამორთმევის გაუქმების შესახებ, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 148 მუხლიდან ამოღებულ უნდა იქნას სიტყვები: „იმ პირებისა, რომლებიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით“ და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 148. დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ-ის ყველა მოქალაქეს, რომელსაც კი 18 წელი შეუსრულდა, დაიოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში, გარდა იმ პირებისა, რომელნიც კანონით დადგენილი წესით ცნობილნი არიან შეშლილებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა.

ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა“.

II

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის შემდეგ პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულებები, რომლებიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად უნდა დაამტკიცოს უმაღლესმა საბჭომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1958 წლის 3 დეკემბერს მიიღო ბრძანებულება, რომლითაც საქართველოს სსრ ვაჭრობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო გარდაიქმნა საქართველოს სსრ ვაჭრობის რესპუბლიკურ სამინისტროდ. ამ ბრძანებულების მიღება მოითხოვს შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება და დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 მუხლში, რომელშიც ჩამოთვლილია საკავშირო რესპუბლიკური სამინისტროები და 56 მუხლში, რომელშიც ჩამოთვლილია რესპუბლიკური სამინისტროები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 8 იანვრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნა ამხანაგი შოთა ილარიონის-ძე ჭანუყვაძე და გაათავისუფლა ამ თანამდებობიდან ამხ. გიორგი არტემის-ძე ალავიძე სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პროექტი კანონისა „საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77, 86, 87 და 88 მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ“, აგრეთვე პროექტი კანონისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ“ და ამასთან დაკავშირებით კონსტიტუციის 55 და 56 მუხლებში სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ დეპუტატებს დარიგებული აქვთ.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ დაამტკიცოთ თქვენს განსახილველად წარმოდგენილი კანონთა პროექტები.

# სსრ კავშირის XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი ვერ იტევდა ჭადრაკის მოყვარულებს. აქ გაიმართა სსრ კავშირის XXVI საჭადრაკო პირველობის გათამაშების ფინალის პირველი ტური.

ამჯერად თეატრის სცენა სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. მის სიღრმეში გაკეთებული იყო 8 სადემონსტრაციო დაფა იმიტირებული საათებით, სვლების მაჩვენებლებით, ხოლო სცენის დანარჩენ ნაწილში განლაგებული იყო საჭადრაკო მაგიდები.

იხსნება ფარდა. მოწინააღმდეგენი მიუსხდნენ მაგიდებს, ჩართეს საათები, გაკეთდა პირველი სვლები.

**პირველი** ტურის 10 პარტიიდან სვლებს მხოლოდ შვიდ დაფაზე უჩვენებდნენ.

მალე მაყურებელთათვის ცხადი გახდა, რომ თამაშობს აგრეთვე მერვე წყვილი, კერძოდ გროსმაისტერი ე. გელერი და ოსტატი ნ. კროგიუსი. ე. გელერის ავადმყოფობის გამო ეს პარტია მოეწყო სასტუმრო „თბილისის“ ერთ-ერთ ოთახში.

სწორედ ეს პირველი პარტია იყო, რომელიც ყველაზე ადრე დამთავრდა. ნ. კროგიუსმა შავებით კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის სუსტი სვლა ლაზიერით და ხელთ იგდო ინიციატივა. მიუხედავად ამისა სვლათა განმეორებით ნ. კროგიუსი 24-ე სვლაზე ყაიმით დაკმაყოფილდა.

ბუნებრივია ყურადღების ცენტრში იყო ორი ახალგაზრდა მოჭადრაკის, მოსკოვის ჩემპიონის საერთაშორისო ოსტატის ე. ვასიუკოვისა და ოსტატ ბ. გურგენიძის (თბილისი) პარტია.

ესპანურ პარტიაში ბ. გურგენიძემ შავებით გამოიყენა XXIII ჩემპიონატში მ. ტალ-ვ. სიმაგინის პარტიაში გამოყენებული თამაშის გეგმა. დროებით მხედრის ორ პაიკში შეწირვით ბ. გურგენიძემ ცენტრში მდგომარეობა გაამწვავა. მალე ბ. გურგენიძემ გაათანაბრა მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ როქის გაკეთების საშუალება დაკარგა.

მიუხედავად ამისა, მისი ფიგურები შემტევ პოზიციას ინარჩუნებდნენ. ე. ვასიუკოვმა მეტოქის ინიციატივის შენელების მიზნით შეძლო ლაზიერის გაცვლა და 21-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ასეთივე შედეგით დამთავრდა გროსმაისტერ დ. ბრონშტეინისა და საერთაშორისო ოსტატ ს. ფურმანის პარტია.

დასაწყისიდანვე მანევრირებული ბრძოლა გაიმართა გროსმაისტერ ტ. პეტროსიანსა და საერთაშორისო ოსტატ რ. ხოლმოვს შორის. ამ უკანასკნელმა შავებით ახალი ინდური დაცვა გაითამაშა. ჯერ მსუბუქი ფიგურების, შემდეგ ლაზიერების გაცვლით თამაში გადავიდა ეტლების ენდშპილში, სადაც გროსმაისტერს ეტლების მოქმედებისათვის მეტი თავისუფლება ჰქონდა. ამასთანავე რ. ხოლმოვს ცენტრში სუსტი პაიკები ჰყავდა. ამის შემდეგ მოხდა თითო ეტლისა და პაიკების გაცვლა და ტ. პეტროსიანმა პაიკი მოიგო. მიუხედავად ამისა მდგომარეობა ისეთია, რომ ტ. პეტროსიანს ალბათ მოგება გაუძნელდება.

ამ დღეს შედეგიანი მხოლოდ ერთადერთი პარტია აღმოჩნდა. რსფსრ ჩემპიონმა რ. ნეჟმეტდინოვმა ჩვეული სიმწვავით გაითამაშა პარტია გროსმაისტერ ვ. კორჩნოისთან. დასაწყისში მან მოწინააღმდეგეს შესწირა პაიკი, რის შედეგად შემტევი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგი შეწირვა არასწორი აღმოჩნდა. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ რ. ნეჟმეტდინოვი იძულებული იყო თავი დამარცხებულად ეცნო.

ი. იუხტმანმა იმდენად სუსტად გაითამაშა დებიუტი ა. ლუტიკოვთან, რომ არავის ეგონა ის პირველ დამარცხებას გადაურჩებოდა. თუმცა ა. ლუტიკოვი კარგა ხანს ფლობდა ინიციატივას, მაგრამ იგი თამაშობდა უხისტემოდ, რის შედეგად თანდათანობით ხელიდან გაუშვა ინიციატივა. მდგომარეობა გამარტივდა. პარტია გადაიდო ეტლების ენდშპილში და ყაიმით უნდა დამთავრდეს.

მწვავე ბრძოლის შემდეგ ოსტატ ე. გუფელდისა და გროსმაისტერ ბ. სპასკის პარტია გადაიდო ბ. სპასკისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაშია გადადებული გროსმაისტერ ი. ავერბახისა და ა. ნიკიტინის პარტია.

ა. ფალავანდიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

რედაქტორი დ. მჟავლიშვილი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-06-88. განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-12, გამომშვების — 3-81-65.

უე 01309 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 1